საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCES

როგორ გამოვკვებოთ აბრეშუმის ჭია

დამწყებ მეაბრეშუმეთა დასახმარებლად

თბილისი

2020

UDC (უაკ)

რეკომენდაციის ავტორი:

ნარგიზ ბარამიძე – სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წამყვანი სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის დოქტორი.

რეცენზენტი:

გიორგი ნიკოლეიშვილი – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რედაქტორი:

ელგუჯა შაფაქიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სსმმ აკადემიის გამომცემლობა “აგრო”

ISBN

საჭიე ბინის მომზადება

აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად შეიძლება გამოიყენოთ ყველა ტიპის მშრალი და ნათელი შენობა სადაც შეიძლება საჭირო ტემპერატურის, ტენიანობის დაცვა და არის აერაციის საშუალება.

ჭიებისათვის უნდა მოვამზადოთ თაროედები. თაროედზე გამოსაკვები ზედაპირების (თაროები) შეიძლება რამოდენიმე იარუსად განლაგდეს. თაროებს შორის მანძილი 45-50 სმ.-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. თაროედები შენობის ჭერიდან და კედლებიდან უნდა დასცილდეს არა ნაკლებ 80 სმ-სა. ჭიის გასაშლელი თაროები აუცილებლად დაწნული უნდა იყოს (ჩვეულებრივი ლასტები ან პოლიეთილენის ბადეები). დაუშვებელია ჭიის კვება ფიცარზე.

აბრეშუმის ჭიისთვის საჭირო ფართობი ასაკების მიხედვით

ჭიის ასაკი	საჭირო ფართობი, მ^2	
	1 გრამი ჭიისთვის	1 კოლოფი ჭიისთვის
I	0,16-0,2	3-4
II	0,3-0,4	6-7
III	0,9-1,0	18-19
IV	2,1-2,3	40-45
V	4,0-4,2	75-80

გამოკვების დაწყების წინ თაროებს ეფარება ქაღალდი და ზედ ლაგდება ჭია.

საჭიე ბინის დეზინფექცია

გამოკვების დაწყებამდე 1-2 კვირით ადრე უნდა ჩატარდეს საჭიე ბინის დეზინფექცია.

დეზინფექციის ჩატარებამდე საჭიეში შეაქვთ გამოკვებისათვის საჭირო ყველა ინვენტარი და ჰერმეტულობის უზრუნველსაყოფად კარ-ფანჯრების ყველა ჭუჭრუტანა და ღია ადგილები

იგმანება. დეზინფექციის ჩასატარებლად სადეზინფექციო ხსნარი ტაშტით იდგმება საჭიის შუაში ელექტროქურაზე და რჩება სრულ აორთქლებამდე. 48 საათის შემდეგ უნდა გავაღოთ კარები და ფანჯრები ფორმალინის სუნის გაქრობამდე.

აბრეშუმის ჭიის გამოკვება

გამოკვების დროს საჭიე ბინაში დაცული უნდა იქნეს ტემპერატურის, ტენიანობის, კვების ჯერადობის და ნაძირის ცვლის რეჟიმი

პირველ სამ ასაკში ჭია დაჭრილი ფოთლით იკვებება. I ასაკის ჭიებისთვის ფოთოლი 2-3 მმ. სიგანეზე იჭრება, II ასაკისთვის – 5-6 მმ., ხოლო
დეზინფექციისთვის ფორმალინის 40%-იანი ხსნარის გამოყენების შემთხვევაში 2ლ. ფორმალინი გაზავებული 2 ლ. წყალში საკმარისია 100 კუბ. მ. მოცულობის შენობის სადეზინფექციოდ. საჭიის გამოსასვლელ კარს გარედან ეკვრება ქარალდი.

ჭიის ასაკი	ტემპერა-ტურა, ^{0}C	ტენიანო-ბა, %	კვების რა ოდენობა დღეში	ნაძირის გამოცლის რაოდ.
I	25-27	80-85	5-ჯერ	–
II	25-27	80-85	5-ჯერ	1
III	24-26	75-80	4-ჯერ	2
IV	23-24	70-75	4-ჯერ	2
V	22-24	65-70	5-ჯერ	ყოველ მე-3 დღეს

მესამე საკში დასაშვებია 1-2 სმ.-მდე სიგანეზე დაჭრილი ფოთლით კვება. დაჭრილი ფოთოლი სწრაფად რომ არ გამოშრეს და ჭიამ ბოლომდე შეძლოს მისი ათვისება, სასურველია საკვების მიცემის შემდეგ თაროზე გადაეფაროს სველი მარლა ისე, რომ ჭიებს არ შეეხოს.

IV ასაკიდან ჭია იკვებება მთელი ფოთლებით, V ასაკიდან კი დასაშვებია ყლორტების მიცემაც.

პერიოდულად გამოსაკვები ზედაპირიდან ჭიას უნდა მოვაცილოთ ნაძირი (საკვების ნარჩენები და ექსკრემენტები).

I ასაკში ნაძირი არ ეცლება. II ასაკში ნაძირი ეცლება კანიდან ამოსვლის მეორე დღეს; III IV ასაკში – 2-ჯერ, კანიდან ამოსვლის მეორე დღეს და მორიგი კანის ცვლის წინ; V ასაკში – კანის ცვლის მეორე დღეს და შემდეგ ყოველ მესამე დღეს პარკის ახვევამდე.

აბრეშუმის ჭიის მოვლა კანის ცვლის დროს

კანის ცვლის დროს საჭიე ბინაში დაცული უნდა იყოს ჰაერის ტემპერატურა 25-26%, ფარდობითი ტენიანობა 70-75%. საკვები უნდა მიეცეს კანიდან მასიური ამოსვლის შემდეგ. თუ ყველა ჭია კანს ერთდროულად არ იცვლის, მაშინ საჭიროა კანგამოცვლილი ჭიები ფოთლების ან პატარა ყლორტებით განცალკევდეს და მოთავსდეს ქვედა თაროზე, ხოლო კანგამოუცვლელი ჭიები მოთავსდეს ზედა თაროზე და გაძლიერებულად იკვებონ, რათა ზრდაში არ ჩამორჩნენ თავისი ასაკის ჭიებს.

საჭიე ბინა ჭიის კვებისა და კანის ცვლის დროს 3-4 საათში ერთხელ უნდა განიავდეს 20-30 წუთით. მზიან დღეებში ფანჯრებზე უდა ჩამოეფაროს ფარდები, რათა მზის პირდაპირი სხივები არ მოხვდეს ჭიებს.

აბრეშუმის ჭიის მოვლა პარკის ახვევის პერიოდში

V ასაკის მეშვიდე დღეს ჭია უკვე მზად არის პარკის ასახვევად. ამ დროს იგი წყვეტს ჭამას და გამჭვირვალე ხდება, თავს მაღლა სწევს და პირიდან იწყებს აბრეშუმის ძაფის გამოყოფას. ამ დროს მათ უკანასკნელად უნდა გამოვაცალოთ ნაძირი და დავიწყოთ ლასტებზე ცახების ჩადგმა.

პარკის ახვევის პერიოდში დაუშვებელია ლასტების და ცახების შერხევა, ამიტომ საჭიროა ფოთოლი ფრთხილად მიეცეს ჭიებს, რომლებიც ჯერ კიდევ განაგრძობენ ჭამას. პარკის ახვევის დაწყებიდან 4-5 დღის განმავლობაში დაცული უნდა იქნეს ჰაერის ტემპერატურა 24-25^{0}C, ფარდობითი ტენიანობა 70-75%. საჭიე პერიოდულად უნდა განიავდეს.

კარგად მოვლილი ჭია ცახზე ასვლას 2-3 დღეში ამთავრებს. მეოთხე დღეს ცახზე აუსვლელი ყველა ჭია გადაიყვანება ცალკე თაროზე და გაძლიერებულად იკვებება.

საცახე მასალის შერჩევა, დამზადება და ჩადგმა

არსებობს ბუნებრივი და ხელოვნური ცახები. ამჟამად ჩვენში ძირითადად ბუნებრივ ცახებს იყენებენ. ბუნებრივ საცახე მასალად გამოიყენება ბალახოვანი მცენარეები: გვირილა, სატაცური, გვიმრა, მინდვრის ცოცხა და სხვა. იყენებენ აგრეთვე ხემცენარეთა (რცხილა) ტოტებს. საცახე მასალა უნდა დამზადდეს პარკის ახვევის დაწყებამდე 10-12 დღით ადრე. ნამიანი საცახე მასალა მსუბუქად უნდა შეიკრას იმ ზომის თაიგულებად, რომ თითოეულ მათგანზე თავისუფლად შეიძლებოდეს 100-120 ჭიის მოძრაობა. 1 გ. ჭიისათვის საკმარისია 20-25 ასეთი თაიგული.

ხელოვნური ცახები ძირითადად პლატმასისაგან მზადდება.

ცახები იდგმება თანმიმდევრულად ვერტიკალურ მდგომარეობაში ჯერ თაროს ნაპირებზე (წინა ნაწილი ღიად რჩება დარჩენილი ჭიები რომ იკვებოს), შემდეგ კი თაროს შუა ნაწილი იტიხრება.

ცახიდან პარკის გამოკრეფა



ცახიდან პარკის გამოკრეფა ხდება მასობრივი ახვევის დაწყებიდან მეშვიდე დღეს. პარკიანი ცახების ჩამოხსნა იწყება ქვედა თაროდან. უპირველესად ცახები იწმინდება მკვდარი და ხვევადაუმთავრებელი ჭიებისაგან, შემდეგ ვიწყებთ პარკის გამოხსნას და ნაპერტყულისაგან გაწმენდას. ხარისხიან პარკში არ უნდა შეერიოს წუნი და ჩხარი.

აბრეშუმის პარკი რომ არ ჩახურდეს, მშრალ იატაკზე დაფენილ ტილოზე თხლად უნდა გაიშალოს. გამშრალი პარკი ფრთხილად უნდა ჩავყაროთ ჰაერგამტარ, მყარკედლებიან ჭურჭელში (კალათი, გოდორი, ფანერისაგან დამზადებული ნახვრეტებიანი ყუთი). დაუშვებელია აბრეშუმის პარკის რბილი ტარით გადატანა.

აბრეშუმის ჭიის მავნებლები

აბრეშუმის ჭიის მავნებლებია, გარეული და შინაური ფრინველები, მღრღნელები, ღამურა, ობობა, კრაზანა, ჭიანჭველები. პირველ ასაკებში გამსაკუთრებით საშიშია ჭიანჭველები. ამიტომ, მათი განადგურება უნდა მოხდეს ბუდეებში ცხელი წყლის ან ნავთის ჩასხმით. თაროედების ფეხების ირგვლივ უნდა დაიყაროს გაცრილი ნაცარი, შეიძლება წაესვას მაზუთი, კუპრი, ნავთი.

ფრინველებისა და მწერებისაგან დასაცავად საჭიროა ფანჯრებზე გაიკრას ბადე და ჩამოეფაროს ფარდა.